

შპს კარტლის მენეჯმენტისა
და მისი შვილობილი კომპანიების
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-6-
2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	-7-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-8-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-9-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-10-

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს კარტლის მენეჯმენტის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში კარტლის მენეჯმენტის ჯგუფი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კარტლის მენეჯმენტის ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კარტლის მენეჯმენტის ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიეუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარ კაპანაძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087)

შპს აუდიტ-თა“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931)

თამარ კაპანაძე

გარიგების პარტნიორი

19 სექტემბერი, 2025 წელი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს კარტლის მენეჯმენტის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში კარტლის მენეჯმენტის ჯგუფი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კარტლის მენეჯმენტის ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კარტლის მენეჯმენტის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კარტლის მენეჯმენტის ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარ კაპანაძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087)

შპს აუდიტ-თა“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931)

თამარ კაპანაძე

გარიგების პარტნიორი

19 სექტემბერი, 2025 წელი



შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	11,316,078	9,732,867
ინვესტიცია	88,729	58,531
არამატერიალური აქტივები	187,099	182,293
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	11,591,906	9,973,691
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168,512	225,105
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,066,105	674,958
მარაგები	15,652,497	20,463,991
გადახდილი ავანსები	549,957	1,232,822
სხვა მიმდინარე აქტივები	365,065	101,350
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,647	67,045
საგადასახადო აქტივი	393,447	421,167
მიმდინარე აქტივების ჯამი	18,203,231	23,186,438
სულ აქტივები	29,795,137	33,160,129
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	11,080,343	10,721,768
უმცირესობის წილი	10,708	11,679
ძირ საშუალებების გადაფასების რეზერვი	191,345	191,345
სულ კაპიტალი	11,284,396	10,926,792
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	7,367,604	10,232,169
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი	7,367,604	10,232,169
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალეზულებები	8,184,971	6,372,316
მიღებული ავანსები	250,206	3,070,810
მოკლევადიანი სესხები	2,707,960	2,558,042
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი	11,143,136	12,001,168
სულ ვალდებულებები	18,510,741	22,233,337
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	29,795,137	33,160,129

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რობერტ რევაი

ირმა რაქვიაშვილი

შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები		33,000,401	28,684,647
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(22,450,873)	(19,952,945)
საერთო მოგება		10,549,527	8,731,702
სხვა შემოსავლები		556,787	
სხვა ხარჯები		(615,658)	(645,361)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,808,568)	(4,354,165)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		5,682,088	3,732,176
ფინანსური ხარჯი		(1,180,254)	(619,500)
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(300,267)	(106,321)
მოგება დაბეგვრამდე		4,201,567	3,006,355
მოგების გადასახადი			-
წლის მოგება		4,201,567	3,006,355
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,201,567	3,006,355
მათ შორის უმცირესობის წილი		(971)	(10,307)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რობერტ რევია

ირმა რაქვიაშვილი

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან		31,567,824	29,253,407
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(20,878,503)	(24,830,624)
გადახდილი ხელფასები		(1,995,856)	(1,882,080)
გადახდილი გადასახადები		(3,638,622)	(2,153,628)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,054,843	387,075
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		2,620,332	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		(814,789)	-
ინვესტიციები		-	(304,631)
გაცემული სესხები		-	(69,525)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,805,543	(374,156)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების ზრდა		33,124,381	42,154,190
სასესხო ვალდებულების დაფარვა		(36,197,397)	(40,462,126)
გადახდილი დივიდენდი		(3,843,963)	(1,401,900)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(6,916,978)	290,164
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება) ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			
		(56,592)	303,083
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში			
6		225,105	73,886
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს			
6		168,512	225,105

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რობერტ რევია

ირმა რაქვიაშვილი

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კაპიტალში ცვლილებების
კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	ძირ საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	9,497,948	191,345	9,691,293
დივიდენდი		(1,782,535)		(1,782,535)
უმცირესობის წილი		11,679		11,679
პერიოდის შედეგი		3,006,355		3,006,355
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	10,733,447	191,345	10,926,792
დივიდენდი		(3,843,963)		(3,843,963)
უმცირესობის წილი		(971)		(971)
პერიოდის შედეგი		4,202,538		4,202,538
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	11,091,051	191,345	11,284,396

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რობერტ რევია

ირმა რაქვიაშვილი

19 სექტემბერი 2025 წელი

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს კარტლის მენეჯმენტი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ. #75გ.
შპს კარტლის მენეჯმენტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბუღალტრო მომსახურება და უძრავი ქონების იჯარით გაცემა. კომპანიის საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებელი არის:

რობერტ რევი - 35% (დირექტორი)
ზაალ სულამე - 25% (დირექტორი)
ზურაბ სულამე - 25%
ვალერი ჟვანია - 15%

კომპანიას გააჩნია შვილობილი კომპანიები:

შპს კარტლის აგროსისტემები ს/ნ 208168640	წილი 100%
შპს კარტლის პროდაქშენი ს/ნ 404883578	წილი 55%
შპს აგროალიანსი ვარდისუბანი ს/ნ 233147680	წილი 100%
შპს აგროალიანსი ს/ნ 205160993	წილი 100%
შპს აგროალიანსი ნახიდური ს/ნ 225398307	წილი 100%
შპს აგროალიანსი წნორი ს/ნ 240420549	წილი 100%
შპს გეოლინკსი ს/ნ 202214683	წილი 100%
შპს აგროუ ს/ნ 205192548	წილი 100%
შპს კარტლის აგროტექსი ს/ნ 404917462	წილი 70%

2021 წლის 19 მარტს მოხდა შპს დელტა გაზ ჯგუფი ს/ნ 204477547 (წილი 100%)-ის შერწყმა კარტლის მენეჯმენტთან.

ამას გარდა შპს აგროალიანსს დაფუძნებული ჰყავს შპს აგროალიანსი-თელავი ს/ნ 231277230

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20-30 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	10 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	15 წლამდე

3.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის

გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი

მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანია“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

„კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა

დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ოფისის აღჭურვილო ბა	ტრანსპორტი	სხვა	სულ
31.12.2021	4,964,521	1,706,266	160,924	512,825	208,675	7,553,211
შესყიდვები	572,172.00	178,238.02	43,594	506,068	47,600	1,347,672
რეალიზაცია	346,627.00		406	56,365	7,865	411,262
ცვეთა		86,153	45,807	132,642	54,100	318,702
31.12.2022	5,190,066	1,798,351	158,306	829,885	194,310	8,170,918
შესყიდვები	266,108.00	1,350,728.50	24,018	263,062	24,743	1,928,659
რეალიზაცია			966	7,196	19,720	27,882
ცვეთა		84,322	41,803	135,480	77,223	338,828
31.12.2023	5,456,174	3,064,758	139,555	950,272	122,110	9,732,867
შესყიდვები	43,350	2,222,446	283,549	25,704	45,284	2,620,332
რეალიზაცია/გასვლა		700,772	61,408	12,894	39,715	814,789

გასულის ცვეთა			58,558	14,493	22,329	95,381
31 დეკემბერი 2024 ცვეთა		79,181	151,836	36,193	50,504	317,713
31.12.2024	5,499,524	4,507,250	268,417	941,383	99,505	11,316,078

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024 წელი	2023 წელი
ნაღდი ფული	3,143	2,850
ფული საბანკო ანგარიშებზე	165,369	222,255
სულ	168,512	225,105

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	2024 წელი	2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,066,105	674,958
სულ	1,066,105	674,958

8. მარაგები

	2024 წელი	2023 წელი
საქონელი	15,322,343	20,126,353
ნედლეული და მასალები	286,105	299,428
სხვა მარაგები	44,049	38,210
სულ	15,652,497	20,463,991

9. კაპიტალი

კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, მის ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

2024-2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2000 ლარია.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წელი	2023 წელი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,184,971	6,372,316
სულ	8,184,971	6,372,316

11. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

12. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებს უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან .

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციაური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა

დირექტორი

რობერტ რევია

19 სექტემბერი 2025 წელი

კარტლის მენეჯმენტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის მიმოხილვა და საქმიანობის აღწერა

შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ჰოლდინგური საქმიანობა: საქართველოში და სხვა ქვეყნებში ოფისების დაარსება, არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენა, სავაჭრო და სასაწყობე ინფრასტრუქტურაში ინვესტირება და სავაჭრო ქსელებისა და კავშირების განვითარება.

კომპანიის ძირითადი აქცენტი გადატანილია მისი შვილობილი კომპანიის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზებაში. იგი ახორციელებს შვილობილი კომპანიისათვის სერვის ცენტრებით უზრუნველყოფას, იურიდიული, საბუღალტრო და ფინანსური მომსახურების გაწევას. ინვესტირებას აკეთებს რა სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაში (მის ბალანსზე უკვე 618,32 ჰა სასოფლო-სამეურნეო და 31361 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწაა აღრიცხული). იგი ამით ეხმარება თავის შვილობილ კომპანიას, რათა მან შეძლოს ახალი ჯიშებისა და პრეპარატების გამოცდა.

შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს მიერ დაფუძნებული შვილობილი კომპანიები:

- 1) შპს „კარტლის აგროსისტემები“ ს/კ 208168640
- 2) შპს „კარტლის პროდაქშენი“ ს/კ 404883578
- 3) შპს „კარტლის აგროტექსი“ ს/კ 404917462
- 4) შპს „აგროალიანსი“ ს/კ 205160993
- 5) შპს „აგროალიანსი ნახიდური“ ს/კ 225398307
- 6) შპს „აგროალიანსი ვარდისუბანი“ ს/კ 233147680
- 7) შპს „აგროუ“ ს/კ 205192548
- 8) შპს „აგროალიანსი წნორი“ ს/კ 240420549

დამფუძნებელმა კომპანიამ, შპს „კარტლის მენეჯმენტი“-მა გადაწყვიტა მის მიერ დაფუძნებული კომპანიამ შპს „კარტლის აგროსისტემები“-ს ბაზაზე ფოკუსირება გააკეთოს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სათესლე მასალებისა და სასუქების იმპორტსა და გაყიდვაზე, აგრეთვე მცენარეთა დაცვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვაზე.

ვინაიდან აღნიშნული ამოცანის შესრულება მოითხოვს კადრების გადამზადებას, ფინანსური რესურსების მობილიზებას, ადამიანური და ფინანსური რესურსების სრულად ჩართულობას, დამფუძნებლების მერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან შპს „კარტლის პროდაქშენი“-ს საქმიანობა (სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი კულტურების მოყვანა) დროებით იქნას შეჩერებული, ხოლო ორგანიზაციები, სახელდობრ: შპს „კარტლის აგროტექსი“, შპს „აგროალიანსი“, შპს „აგროალიანსი ნახიდური“, შპს „აგროალიანსი ვარდისუბანი“, შპს „აგროუ“, შპს „გეოლინკსი“, შპს „აგროალიანსი წნორი“-ის საქმიანობა სხვადასხვა პრობლემების გამო შვიდი წლის წინათ იქნა გაჩერებული.

ზემოთ აღნიშნული კომპანიების საქმიანობის გაჩერების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ლარის კურსის მუდმივი რყევა, იმდენად რამდენადაც ჩვენ ვართ იმპორტიორი კომპანია. ასევე სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემები, მშ ადგილობრივი წარმოების ს.მ. პროდუქტის გასაღების ბაზარი და საბაზრო ფასის არაპროგნოზირებადი ფასი.

შვილობილ კომპანიებს შორის არსებითად მნიშვნელოვან კომპანიას წარმოადგენს „კარტლის აგროსისტემები“.

შპს „კარტლის აგროსისტემები“ უკვე 28 წელია ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. ამ პერიოდში კომპანიამ ფერმერებს შორის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მომწოდებლის სახელი დაიმკვიდრა. მიზანდასახული მუშაობის შედეგად, კომპანიამ ათასობით მომხმარებლის ნდობა მოიპოვა და დღეისათვის დარგში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა. ის თავის მომხმარებელს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების, სათესლე მასალისა და სარწყავის სისტემების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანიამ დაარსების დღიდან მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა ხარისხი და ცოდნა და ის ამყობს, რომ საქართველოში, პროფესიონალ ფერმერებში მისი სახელი ასოცირდება ცოდნასთან, ხარისხთან და გამოცდილებასთან.

თავის მისიას „კარტლის აგროსისტემები“ ხედავს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაში და განათლების, ცოდნის გავრცელების და მსოფლიოში არსებული წამყვანი თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის გზით, ხელი

შეუწყოს საქართველოში მომუშავე ფერმერებს წარმატების მიღწევაში და ფინანსური მოგების მიღებაში.

შესაბამისად, კომპანია საერთაშორისო ბაზარზე თანამშრომლობს მხოლოდ მსოფლიოში არსებულ წამყვან მაღალტექნოლოგიურ ამერიკულ, იაპონურ და ევროპულ კორპორაციებთან, როგორებიცაა issan (იაპონია), Corteva (აშშ), FMC (აშშ), Mitsui (იაპონია), Pioneer (აშშ), ENZA (ნიდერლანდები), Bejo (ნიდერლანდები) და სხვა. აღნიშნულ მწარმოებლებთან „კარტლის აგროსისტემებს“ გააჩნია ექსკლუზიური ხელშეკრულებები და აღნიშნული პროდუქციის შეძენა საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ „კარტლის აგროსისტემების“ სერვის ცენტრებში.

პარტნიორი კომპანიების დახმარებით „კარტლის აგროსისტემებ“-მა დაწერა თანამედროვე ევროპული და ამერიკული სტანდარტები თავის საქმიანობაში და 2011 წელს ამ დარგში პრესტიჟული ჯილდოს ENVIRONMENTAL RESPECT AWARD-ის მფლობელი გახდა. დაჯილდოების ცერემონიალი ქ. ვაშინგტონის, აშშ-ს კონგრესის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შენობაში გაიმართა, სადაც მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით ბიზნესის წარმოებისთვის კომპანიას გადაეცა სპეციალური ჯილდო, როგორც საუკეთესო პესტიციდების დისტრიბუტორი კომპანია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

კლიენტები

კომპანიის კლიენტები ძირითადად არიან შედეგზე ორიენტირებული, პროგრესულად მოაზროვნე, თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებული წარმატებული ფერმერები და ორგანიზაციები.

„კარტლის აგროსისტემები“ ემსახურება როგორც საცალო, ისე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს.

შპს „კარტლის აგროსისტემები“-ს პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები არიან პროფესიონალი ფერმერები, რომელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მათ მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ კომპანიის კლიენტები იყვნენ კონკურენტუნარიანნი, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ბაზართან მიმართებაშიც, „კარტლის აგროსისტემები“ დაკავებულია

მსოფლიოში არსებული უახლესი, პროგრესული ტექნოლოგიების მოძებნა-შესწავლით, ადგილობრივი პირობებისათვის მორგებით და მათთან კონტაქტში მყოფი ფერმერებისათვის მიწოდებით.

2024 წლის განმავლობაში საგამანათლებლო და სარეკლამო აქტივობების შედეგად, კომპანიის სერვის ცენტრებში გაიზარდა წვრილი საცალო კლიენტების რაოდენობა. განსაკუთრებით კომპანიას მიმართა უფრო მეტმა მოცვის მომყვან ფერმერმა. გამომდინარე სადემონსტრაციო ნაკვეთების შედეგებიდან და ახალი პრეპარატების ეფექტურობიდან, კომპანიას მოლოდინი აქვს რომ მკვეთრად გაიზრდება წვრილი კლიენტების რაოდენობა 2024 წელს. განსაკუთრებით კომპანია ელოდება მევენახე და მემოცვე კლიენტების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას.

თავისი კლიენტების ხარისხიანი მომსახურებისთვის, „კარტლის აგროსისტემებმა“ ინვესტირება მოახდინა და განავითარა თანამედროვედ აღჭურვილი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სავაჭრო ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს 15 სერვის-ცენტრს, რომლებიც საქართველოს ყველა მთავარ სასოფლო-სამეურნეო რეგიონში მდებარეობს. კომპანიის სერვის-ცენტრები ხელმისაწვდომს ხდის თითოეული ფერმერისათვის კომპანიის პროდუქციის სრულ ასორტიმენტს და ასევე კომპანიის სპეციალისტების მიერ დაგროვებულ ცოდნას.

პერსონალი

„კარტლის აგროსისტემები“ ყველაზე დიდ აქტივად მიიჩნევს თავის თანამშრომლებს.

პერსონალის მართვის სისტემა აგებულია სამართლიანობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმძღვანელობასთან ღია დიალოგის პრინციპებზე. კომპანიის საკადრო პოლიტიკა მოიცავს ნიჭიერი და საქმის კეთებისათვის მოტივირებული თანამშრომლების მოძიებასა და შენარჩუნებას, მათ სწავლებას ყოველდღიური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

გამოცდილი და კვალიფიციური კადრები კომპანიის მთავარი მონაპოვარია. კომპანია დღეისთვის 105 ადამიანი მუშაობს, მათ შორის ოთხი თანამშრომელი დოქტორის ხარისხის მფლობელია. „კარტლის აგროსისტემები“-ს ყველა სპეციალისტს აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან მუშაობის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილება.

სისტემატიურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებლად სემინარები ცნობილი ევროპელი, ამერიკელი და იაპონელი მეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების დახმარებით.

კომპანია თანამშრომლებისათვის რეგულარულად ატარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს და კურსებს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

2023 წელს კომპანიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ 7 ტრენინგი და სემინარი. მათ შორის:

18.05.2023 - ტრენერი ფრანცისკ პრატსი/ესპანეთი: „თანამედროვე სტიმულატორების და სასუქების გაცნობა. მათი გამოყენება ბოსტნეულ კულტურებში და მარწყვში. სტიმულაციის სქემის შედგენა.“

22-26.09.2023 - ტრენერი მუსტაფა უნსალანი /ჰოლანდია: „ბოსტნეული კულტურების მოყვანის პრაქტიკული რჩევები. ბოსტნეული კულტურების ახალი, თანამედროვე ჰიბრიდების გაცნობა“.

22-23.11.2023 - ტრენერი ეიჯი მატსუზაკი /იაპონია: „თანამედროვე ფუნგიციდების გამოყენება ვაზის დაცვის პროგრამაში“.

25.09.2023 - ტრენერი როლანდ ბოლი / გერმანია: „ნიადაგის მომზადება მოცვის კულტურის მოსაყვანად“

შპს „კარტლის აგროსისტემები“ დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, მ. შ.

- სამეცნიერო კონსულტანტი (დოქტორის ხარისხის მფლობელი) – 2 კაცი
- კონსულტანტ-აგრონომი - 3 კაცი
- შეკვეთების მართვის მენეჯერი - 1 კაცი
- ტერიტორიული გაყიდვების მენეჯერი - 6 კაცი
- პროდუქტ მენეჯერი - 2 კაცი (აქედან 1 დოქტორის ხარისხის მფლობელი)
- ბოსტნეულის თესლების რეგიონალური მენეჯერი -1 კაცი
- სარწყავი სისტემების მონტაჟის სპეციალისტი - 2 კაცი
- ბუღალტერი - 5 კაცი
- ადმინისტრაციული პერსონალი - 5 კაცი

- სამეცნიერო კვლევითი მუშაკი--1 კაცი
- პიარ- მენეჯერი -1 კაცი
- იურისტი -1 კაცი
- კონსულტანტ-გამყიდველი -25 კაცი
- ლოჯისტიკის მენეჯერი - 1 კაცი
- კლიენტების მომსახურების მენეჯერი - 1 კაცი
- სხვადასხვა - 35 კაცი.

რაც შეეხება შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს მუშაობას 2022 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ გრძელდება იმ კურსით სვლა, რომელიც აღებული ქონდა დაარსების დღიდან.

2024 წელს, შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს შვილობილმა კომპანიამ, შპს „კარტლის აგროსისტემები“-მა, წინა წელთან შედარებით გაზარდა ბრუნვა და წამოიწყო ახალი პროექტები.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს საშტატო განრიგი 2024 წლის განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა, კომპანიამ უზრუნველყო თავისი შვილობილი კომპანიის კვალიფიკაციური საბუღალტრო მომსახურება, რაც განპირობებული იყო შრომის ორგანიზაციის დახვეწითა და არსებული კადრების უფრო ეფექტური გამოყენებით.

2020 წლის განმავლობაში კომპანიის ბალანსზე არსებული სასოფლო -სამეურნეო მიწის ფართის ზრდა მოხდა დამატებით 4,7 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის გორის და 14,6 ჰა გურჯაანის რაიონში, ასევე წყალტუბოში შეძენილ იქნა 0,3 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა. სტრატეგია მიწის შესყიდვისა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს უკვე მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთების გარშემო მიწის შეყიდვა, რათა გაიზარდოს არსებული ნაკვეთების ფართი. საქმე იმაშია, რომ დიდი ზომის ნაკვეთები, მაგალითად 10 ჰექტრიდან, გარდა იმისა რომ უფრო ადვილი დასამუშავებელია, ასევე უფრო ადვილი გასაქირავებელიცაა. სწორედ ამ ნაკვეთების ზრდის გამო, 2021-2022 წლებში მოხერხდა კომპანიის მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის თითქმის სრულად გაქირავება, რამაც დამატებითი შემოსავალი მოუტანა კომპანიას.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის მუდმივი ზრდა შპს „კარტლის მენეჯმენტი“-ს სტრატეგიის ერთ-ერთ- მთავარი ნაწილია, რაც 2021 წელსაც შენარჩუნდა, კერძოდ

შეძენილ იქნა 2252 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაჯვეთი გორში(ბერბუკი) და 31469 კვმ სს მიწის ნაჯვეთი გურჯაანის რ-ნის სოფლებში (ბაკურციხე და კარდანახი).

კომპანიამ გააგრძელა 2022 წელს ახალი სერვის ცენტრებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების მოძიება და შეძენა. კერძოდ, ამ მიზნებისთვის ზუგდიდი ს. ჭითაწყაროში შეძენილ იქნა 4419 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ასევე 2022 წელს გურჯაანის ს.ბაკურციხეში ჩვენს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაემატა 0,64 ჰა, რაც შეეხება 2023 წელს განხორციელდა სასოფლო სამეურნეო მიწის 80889 კვ.მ შეძენა (წყალტუბო, დმანისი, გურჯაანი, გორი)

2024 წელს კომპანიამ შეისყიდა მიწის ნაკვეთები გურჯაანის რაიონში 7,22 ჰა

შპს „კარტლის მენეჯმენტი“-თვის 2021 წელი აღინიშნა კომპანიისთვის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით , კერძოდ მოხდა შპს „დელტა ჯგუფი“-თან შერწყმა. ეს კომპანია რამოდენიმე წლის წინ შეიძინა „შპს „კარტლის მენეჯმენტი“-მა რათა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი იძლევა კომპანიის სამომავლო გეგმების განხორციელების საშუალებას.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი განლაგებულია აეროპორტის გზატკეცილზე და იძლევა საშუალებას აშენდეს დიდი სასაწყობე და საოფისე კომპლექსი. ეს კომპლექსი მიშვნელოვანია შპს „კარტლის მენეჯმენტის“- შვილობილი კომპანია შპს „კარტლის აგროსისტემები“-სათვის - ევროკავშირთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი მოიცავს პესტიციდების შენახვისათვის სპეციალიზებულ სასაწყობე მეურნეობის მოწყობას.

საქართველოში არსებული სასაწყობე მეურნეობები, მიუხედავად მათი დიდი ნაწილის რეკონსტრუქცია-განახლებისა, ვერ აკმაყოფილებს იმ სპეციფიკურ პირობებს, რომლებსაც მოითხოვს ახალი კანონმდებლობა. სწორედ ამ სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით სასაწყობე მეურნეობის აშენება იგეგმება შპს „დელტა-გაზ ჯგუფის“- ს მფლობელობაში მყოფ მიწინ ნაკვეთზე.

მოხდა რა ზემოთხსენებული კომპანიის შერწყმა შპს „კატლის მენეჯმენტი“-თან, დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ზემოთხსენებული პროექტის დასაწყებად, რასაც ქვემოთ შევხებით

კომპანიის ბალანსზე მყოფ სასოფლო-სამეურნეო მიწების გაქირავებას რაც შეეხება, კომპანიამ შეცვალა სტრატეგია და გადავიდა ამ მიწის ნაკვეთების მრავალწლიანი საარენდო ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ გამოიკვეთნენ ის არენდატორები, რომლებიც პასუხისმგებლიანად ეკიდებიან მათი დაქირავებული მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების შენარჩუნებას.

ექსტენციის სერვისი და კვლევები

2012 წლიდან კომპანია სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე ფერმერებსა და ორგანიზაციებს ექსტენციის სერვისების ფართო სპექტრს სთავაზობს. კომპანიაში მოსულ ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ სრული კონსულტაცია მათთვის საინტერესო კულტურის მოყვანის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით. კომპანიის სპეციალისტებს გააჩნიათ სოკოვან და ბაქტერიულ დაავადებებთან, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. კომპანიას ასევე რეგულარულად სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოჰყავს უცხოელი ექსპერტები, რომლებიც უზიარებენ კომპანიის თანამშრომლებსა და კომპანიის კლიენტებს საერთაშორისო გამოცდილებას. ამ წლების განმავლობაში კომპანიამ ჩამოიყვანა საქართველოში ათეულობით უცხოელი სპეციალისტი აშშ-დან, იაპონიიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან და ჩაატარა სემინარები, ტრენინგები, განახორციელა ამ სპეციალისტებთან ერთად ვიზიტები თავისი კლიენტების ნაკვეთებში და დაეხმარა მრავალ ფერმერსა და ფერმერულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის პროფესიონალურად აწყობაში.

2020 - 2021 წლებში მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა და მკაცრი რეგულაციებისა, „კარტლის აგროსისტემებმა“ დადო ხელშეკრულება მსოფლიოში ცნობილ ჰოლანდიურ საექსპერტო ორგანიზაცია „Delfy International“-თან . ეს ორგანიზაცია უკვე ათეული წლებია აერთიანებს თავის პლატფორმაზე დაახლოებით 170 მსოფლიო დონის ექსპერტს სოფლის მეურნეობის სფეროში, მათი პროგრამები და ტრენინგები ეხმარება მრავალი ქვეყნის ფერმერებს, რომ აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია და მიიღონ თანამედროვე გამოწვევებზე პასუხი. დადებული ხელშეკრულების თანახმად „Delfy

International”-ის სპეციალისტები რეგულარულად ჩამოდიოდნენ საქართველოში, კომპანიის თანამშრომლებთან ერთად დადიოდნენ მოცვის მომყვანი ფერმერების პლანტაციებში, ასწავლიდნენ და ეხმარებოდნენ მათ მოცვის პლანტაციის სწორად გამართვასა და მოვლაში. კომპანიის თანამშრომლებმა მიიღეს დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მოცვის კულტურის მოვლა-მოყვანაში. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შემდგომ წლებში „კარტლის აგროსისტემები“ გახდა ერთ-ერთი ლიდერი კომპანია მოცვის მომყვან ფერმერებს შორის. 2024 წელს კომპანიას გაეზარდა წვრილი საცალო კლიენტების რაოდენობა სწორედ მოცვის მომყვანი ფერმერების ხარჯზე.

ექსტენციის სერვისის წარმატებით განხორციელებისათვის კომპანია აწყობს უამრავ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთს. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიების, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა, შესაბამისი შედეგების საფუძველზე მათი სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება და დანერგვა. კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს.

კომპანია ეწევა აგრეთვე საქართველოს კლიმატური პირობებისთვის შესაფერისი ბოსტნეულისა და მარცვლოვანი კულტურების ჯიშებისა და ჰიბრიდების მოძიებას, გამოცდას, მათ პოპულარიზაციასა და დანერგვას. კომპანიის სკურპულოზური შრომის შედეგად ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სიმინდის, ხახვის, კარტოფილისა და ხორბლის მოსავლიანობა.

2023 წლიდან კომპანია დგამს პირველ ნაბიჯებს სოფლის მეურნეობის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში და კომპანიის სახელით აგზავნის სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო კვლევით ჟურნალში. კომპანია გეგმავს გააძლიეროს სამეცნიერო-კვევითი მუშაობა 2024-2025 წლებშიც და მიზნად აქვს მომავალში შეიმუშაოს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი საკუთარი ტექნოლოგიები.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელი, ისევე როგორც 2023 წელი, იყო ძალიან რთული ვაზის მომყვანი ფერმერებისათვის კახეთის რეგიონში, რადგან კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ძალიან მაღალი იყო სოკოვანი დაავადებების ფონი. ფერმერების დიდმა ნაწილმა სრულად დაკარგა მოსავალი. ამ ფონზე, ფერმერებმა რომლებიც მიყვებოდნენ „კარტლის აგროსისტემების“ სპეციალისტების რჩევებს და ზუსტად ასრულებდნენ კომპანიის მიერ შემუშავებულ დაცვის პროგრამას, მიიღეს საუკეთესო შედეგები. კომპანია კახეთის რეგიონში შემდეგ სეზონზე ელოდება კლიენტების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.

2023 წლიდან, ექსტენციის სერვისის გასაფართოებლად და წვრილი ფერმერების უფრო დიდი მასისთვის ცოდნის გასაზიარებლად, „კარტლის აგროსისტემებმა“ ექსპლუატაციაში შეიყვანა ვებ-გვერდი „კარტლისის ციფრული აგრონომი“: <http://digital.cartlis.ge/>. აღნიშნული [online](#) პროგრამის დახმარებით, ყველა მსურველს შეუძლია დარეგისტრირდეს და დამოუკიდებლად თავისი ნაკვეთისათვის შექმნას მცენარეთა დაცვის და კვების პროგრამა. აღნიშნული [online](#) რესურსი განსაკუთრებით საინტერესოა წვრილი ფერმერებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი აგრონომი და ხელი არ მიუწვდებათ რეგულარული პროფესიონალური აგრონომიული კონსულტაციებისადმი.

აღნიშნულმა პროექტმა გამოიწვია დიდი ინტერესი და მისი შემუშავებისათვის კომპანიამ USAID-ის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიიღო გრანტი “სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა“. აღნიშნული პროგრამა ეხმარება არა მხოლოდ მომხმარებლებს არამედ კომპანიის თანამშრომლებსაც. მისი დახმარებით ისინი უფრო ოპერატიულად უდგენენ სერვის-ცენტრში მოსულ ფერმერებს როგორც მათი კულტურების მოვლის სხვადასხვა სქემებს, ისე ადგენენ ამ სქემების განხორციელებასთან დაკავშირებულ ფინანსური დანახარჯების კალკულაციას.

ექსტენციის სერვისის და პროფესიონალური კონსულტირების განუყოფელი ნაწილია ნიადაგის, წყლის და ფოთლის ანალიზი. ამიტომ, 2021 წელს კომპანიამ ხელშეკრულება დადო თანამშრომლობაზე მსოფლიოში ცნობილ ესპანურ ლაბორატორია AGQ Labs-თან. ამ თანამშრომლობამ საქართველოში მოღვაწე ფერმერებსა და ორგანიზაციებს საშუალება მისცა ჩაატარონ საკუთარი საქმიანობისთვის საჭირო ყველა ტიპის ანალიზი, მათ შორის ისეთი ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევებიც, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ კეთდება საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ 2023-ში განსაკუთრებით ბევრი შემოვიდა უშუალოდ ექსპორტისთვის გამზადებული მოსავლის (მოცვი, კაკალი, ნუში და სხვა) ნიმუშები. მსგავსი ანალიზები საქართველოში არ კეთდება.

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოსცა და დაიწყო რამოდენიმე ახალი პესტიციდის და სტიმულატორის სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი, რაც წარმატებით განაგრძო 2024 წელს, იგეგმება ამ ახალი პრეპარატების იმპორტი და რეალიზაცია 2025 წელს. აღნიშნული პროდუქცია გახდის კომპანიის ასორტიმენტს უფრო კონკურენტუნარიანს. ამ ახალი რეგისტრაციების მიზანია საქართველოში მოღვაწე ფერმერებს მიეწოდოთ იმ უახლესი პროდუქციით სარგებლობის შესაძლებლობა,

რომლითაც უკვე სარგებლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფერმერები. ეს, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფერმერებს მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის ზრდაში, ასევე აუცილებელია ევროკავშირში ექსპორტისათვის განკუთვნილი პროცენტის წარმოებისთვის. საქმე იმაშია, რომ ევროპის ბაზარზე დაიშვება მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელთა მოყვანისას გამოყენებულია ევროკავშირში დარეგისტრირებული პროდუქტები. კომპანიას მოლოდინი აქვს, რომ ამდაგვარი ასორტიმენტის განახლება ხელს შეუწყობს გაყიდვების მნიშვნელოვან გაზრდას მომავალი წლის სეზონზე.

„კარტლისის აკადემიის“ პროექტი

2017 წელს კომპანიამ, დაიწყო „კარტლისის აკადემიის“ წარმატებული პროექტი. პროექტის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ გაეზიარებინა ფერმერების ფართო მასისათვის ის ექსტენსიური ცოდნა და წარმატებული პრაქტიკული გამოცდილება, რაც კომპანიამ დააგროვა თავის არსებობის მანძილზე. აკადემიის კურსები ყოველი ჯგუფისთვის ითვალისწინებს 4 თეორიულ და პრაქტიკულ ლექცია-სემინარს: 1-ლი ნიადაგის ნაყოფიერება და კვების პროგრამა; მე-2 მავნებელ-დაავადებები და მცენარეთა დაცვის პროგრამა; მე-3 კულტურის წყლის მოთხოვნა და ირიგაციის პროგრამა; მე-4 აღნიშნული კულტურის სრული მოვლა-მოყვანის პროგრამა და ბიუჯეტირება. „კარტლისის აკადემიის“ კურსებმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ფერმერებს შორის და კურსებზე დასწრების მსურველთა რაოდენობა ძალიან გაიზარდა.

მოთხოვნა კურსებზე გაიზარდა იმდენად, რომ 2023 წლის თებერვალს „კარტლისის აგროსისტემებმა“ საქართველოს განათლების სამინისტროსაგან მიიღო ოფიციალური აკრედიტაცია და კურსდამთავრებულებზე გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.


აღსანიშნავია, რომ „კარტლისის აკადემიის“ კურსდამთავრებულები ღებულობენ უფრო მაღალ და ხარისხიან მოსავლებს. ასევე მათმა უმეტესობამ შეძლო ექსპორტისთვის საჭირო სერტიფიკატების მოპოვება და პროდუქციის საექსპორტოდ გაყიდვა. „კარტლისის აკადემიის“ კურსდამთავრებულებს შორის არიან ფერმერები, რომლებიც ღებულობენ საქართველოში ყველაზე მაღალ და ხარისხიან მოცვის მოსავალს. აღნიშნული ფაქტები იზიდავს კომპანიასთან ახალ კლიენტებს. კომპანიას მოლოდინი აქვს, რომ შემდეგ

სასოფლო-სამეურნეო სეზონზე მემოცვე კლიენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბიო პროდუქტების ბაზრის განვითარება

2023 წლის დასაწყისიდან კომპანია აქტიურად იწყებს ბიო პრეპარატების ბაზრის განვითარებას. კომპანიამ მოაწყო რამოდენიმე საცდელი ნაკვეთი ახალი ამერიკული და იაპონური ბიოპრეპარატების გამოსაცდელად ვაზში, მოცვში და ბოსტნეულ კულტურებში. აღნიშნული ცდები ტარდება როგორც ახალი პრეპარატების ეფექტურობის შესასწავლად, ასევე საცდელი კულტურების ორგანული მოყვანის ტექნოლოგიების შესამუშავებლად. აღნიშნული გამოცდების შედეგების საფუძველზე კომპანიამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება 2024 წლიდან დაეწყო ბიო პრეპარატების რეგისტრაცია, აქტიური პოპულარიზაცია და გაყიდვები. ასევე, მომავალ წლებში გაგრძელდება საქართველოს ბაზრისთვის საინტერესო ბიო პროდუქტების მოძიება და გამოცდა.

კომპანიის ბიზნეს მოდელი



ყოველივე ზემოთ თქმული გვიჩვენებს, რომ კომპანია ნაბიჯ-ნაბიჯ განუხრელად მიჰყვება წლების წინ აღებულ კურსს, აფართოებს და აახლებს თავის მოღვაწეობას რეგიონებში.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 3,3 მლნ ლარი, რაც გასული წლის შედეგთან (28.7 მლნ ლარი) შედარებით გაიზარდა დაახლ 14,9%-ით.

Gross profit 2024 წელს არის დაახლოებით 31,9%, 2023წ- 30,4%, 2022 წელს კი შეადგენდა 33%, -ს

აქტივების ჯამური მოცულობა 2024 წლის ბოლოს შეადგენს 29,8 მლნ ლარს, გასულ წელს ეს მაჩვენებელი ოყო 33,2მლნ ლარი, 2022 წლის ბოლოს კი შეადგემდა 30,2მლნ ლარს.

ვალდებულებები 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენს 18,5 მლნ ლარს, რაც 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით (22,2 მლნ ლარი) შემცირებულია 16,7%-ით.

კომპანიის წმინდა მოგება 2024 წელს შეადგენს 4 მლნ ლარს. გასული წელს შეადგენდა დაახლ 3 მლნ ლარს

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)		საოპერაციო შემოსავალი (მილიონი ლარი)	
2020	0,22	2020	23,7
2021	4.2	2021	28.9
2022	6,03	2022	28,3
2023	3,05	2023	28,7
2024	4,2	2024	33

უკუგება საშუალო კაპიტალზე		უკუგება საშუალო აქტივებზე	
2020	7,3%	2020	1,0%
2021	72.8%	2021	19%

2022	62%	2022	20%
2023	28%	2023	9.2%
2024	37%	2024	14%

მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)		მთლიანი ვალდებულებები (მილიონი ლარი)	
2020	22.02	2020	18,9
2021	22.16	2021	16.4
2022	30,2	2022	20,5
2023	33,2	2023	22,2
2024	29,8	2024	18,5

თანამშრომელთა რაოდენობის ცვლილებამ (შემცირებამ) გასულ წელთან შედარებით შეადგენს 10 %-ს

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: 2020წ - 258, 2021წ -225, 2022წ - 269, 2023-374, 2024წ -254

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: 2020წ -0,77, 2021წ -0.89, 2022წ - 1.06, 2023-1,04 , 2024წ - 1,63

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა

უკუგება საშუალო კაპიტალზე: კომპანიის წმინდა მოგების თანაფარდობა მის მთლიან კაპიტალთან.

უკუგება საშუალო აქტივებზე: კომპანიის წმინდა მოგების თანაფარდობა მის მთლიან აქტივებთან.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: კომპანიის მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365 დღეზე.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

რისკების მართვა

რისკები ზოგადად ნებისმიერი ბიზნესის თანმდევი მოვლენაა. კომპანიის ფუნქციონირებას და ზრდას რისკებს უქმნის ქვეყნის წინაშე არსებული რისკები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელი ფერმერების ქცევაზე და მათ ინტერესზე.

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები.

ამ რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. კომპანიის რისკების მართვის პროცესები მოწმდება შიდა კონტროლის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას.

თუმცა, რისკების მიმოხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ მსოფლიო პანდემიის “კოვიდ-19” -ს თემას, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა და სამომავლო პრობლემები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას. ამ ფონზე იმის გათვალისწინებით, რომ ლარის ინფლაციის დონე მაღალ ნიშნულზეა და ეროვნული ვალუტა ისევ აგრძელებს დევალვაციას, ასევე ის, რომ ქვეყანა და მ.შ ჩვენი კომპანია იმპორტდამოკიდებულია, ამიტომ აზრი, რომ ეკონომიკური კრიზისი კვლავ მნიშვნელოვნად დააზარალებს ქვეყნის ბიზნეს კლიმატს - არ არის საღ აზრს მოკლებული.

როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში, აღინიშნა რიგი შეზღუდვებით. ცხადია, ამან გავლენა იქონია ჩვენი კომპანიის მუშაობაზე, გადაადგილების შეზღუდვამ გამოიწვია კომპანიის კლიენტების რაოდენობის კლება, რაც გამოიხატა რეალიზაციის შემცირებაში. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შესძლო ამ რთული პერიოდის გადალახვა და 2022 წელს შედეგად მივიღეთ გასულ წლებთან შედარებით ბრუნვის გაზრდა. ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა ამ სწორი სტრატეგიული კურსით სვლამ, რაც გააჩნია კომპანიას.

მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარე გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციიდან და ქვეყნის საზღვრებთან ახლოს მიმდინარე საომარი მოქმედებებისა, 2023 წელს კომპანიამ შეინარჩუნა სტაბილურობა და წინა წლებთან შედარებით გაზარდა ბრუნვა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესი, მ.შ ჩვენი კომპანია მაქსიმალურად შეეცადოს მოერგოს საჭირო, გარდაუვალ ცვლილებებს და შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა და ჩვენი გამოწვევა კი უფრო მეტია -- განვაგრძოთ ბიზნეს განვითარებაზე ზრუნვა.

გეგმები

შპს “კარტლის მენეჯმენტი“ არის დინამიურად განვითარებადი კომპანია, რომელიც მიუხედავად არსებული არასტაბილური ბიზნეს კლიმატისა გეგმავს ყოველწლიურ ზრდას.

2025 წ იგეგმება:

- კახეთის რეგიონის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მშვიდობიანში თანამედროვე ევროპული და ამერიკული სტანდარტების შესაბამისი სერვის ცენტრის გახსნა;
- იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.ქვიტირში რეგიონალური საწყობის გახსნა, რომელიც მოემსახურება დასავლეთ საქართველოში მდებარე კარტლისის სერვის-ცენტრებს;
- ახალი ბიო პრეპარატების ფართე გამოცდები;
- გაგრძელდეს ახალი პრეპარატების, სასუქების და ჯიშების მოძიება;

- კომპანიის კლიენტების მომსახურების გასამარტივებლად ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება.
- იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.გეგუთში თანამედროვე ევროპული და ამერიკული სტანდარტების შესაბამისი სერვის ცენტრის გახსნა;
- ბიო პრეპარატების ფართო გაყიდვაში ჩაშვება;
- გაგრძელდეს ახალი პროდუქტების მოძიება;
- ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის გაგრძელება.

ქსელის გაზრდასთან ერთად იგეგმება სტრატეგიული მარკეტინგის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. კომპანიის მიზანია როგორც ახალი კლიენტების მოზიდვა, ასევე არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ ფერმერ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ბიზნესის ოპერირება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის ვცდილობთ მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვაავითაროთ ისინი.

დირექტორი:

რ. რევია

სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	11,316,078	9,732,867
ინვესტიცია	88,729	58,531
არამატერიალური აქტივები	187,099	182,293
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	11,591,906	9,973,691
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168,512	225,105
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,066,105	674,958
მარაგები	15,652,497	20,463,991
გადახდილი ავანსები	549,957	1,232,822
სხვა მიმდინარე აქტივები	365,065	101,350
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,647	67,045
საგადასახადო აქტივი	393,447	421,167
მიმდინარე აქტივების ჯამი	18,203,231	23,186,438
სულ აქტივები	29,795,137	33,160,129
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	11,080,343	10,721,768
უმცირესობის წილი	10,708	11,679
ძირ საშუალებების გადაფასების რეზერვი	191,345	191,345
სულ კაპიტალი	11,284,396	10,926,792
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	7,367,604	10,232,169
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი	7,367,604	10,232,169
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,184,971	6,372,316
მიღებული ავანსები	250,206	3,070,810
მოკლევადიანი სესხები	2,707,960	2,558,042
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი	11,143,136	12,001,168
სულ ვალდებულებები	18,510,741	22,233,337
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	29,795,137	33,160,129

დირექტორი

რობერტ რევია

მთავარი ბუღალტერი

ირმა რაქვიაშვილი

შპს კარტლის მენეჯმენტი

205100326

შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები		33,000,401	28,684,647
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(22,450,873)	(19,952,945)
საერთო მოგება		10,549,527	8,731,702
სხვა შემოსავლები		556,787	
სხვა ხარჯები		(615,658)	(645,361)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,808,568)	(4,354,165)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		5,682,088	3,732,176
ფინანსური ხარჯი		(1,180,254)	(619,500)
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(300,267)	(106,321)
მოგება დაბეგვრამდე		4,201,567	3,006,355
მოგების გადასახადი			-
წლის მოგება		4,201,567	3,006,355
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,201,567	3,006,355
მათ შორის უმცირესობის წილი		(971)	(10,307)

დირექტორი

რობერტ რევია

19 სექტემბერი 2025 წელი

მთავარი ბუღალტერი

ირმა რაქვიაშვილი



შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან		31,567,824	29,253,407
მოძწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(20,878,503)	(24,830,624)
გადახდილი ხელფასები		(1,995,856)	(1,882,080)
გადახდილი გადასახადები		(3,638,622)	(2,153,628)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,054,843	387,075
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		2,620,332	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		(814,789)	-
ინვესტიციები		-	(304,631)
გაცემული სესხები		-	(69,525)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,805,543	(374,156)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულებების ზრდა		33,124,381	42,154,190
სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(36,197,397)	(40,462,126)
გადახდილი დივიდენდი		(3,843,963)	(1,401,900)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(6,916,978)	290,164
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(56,592)	303,083
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-	(151,864)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	6	225,105	73,886
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	6	168,512	225,105

დირექტორი

რობერტ რევია

19 სექტემბერი 2025 წელი

მთავარი ბუღალტერი

ირმა რაქვიაშვილი



შპს კარტლის მენეჯმენტისა და მისი შვილობილი კომპანიების კაპიტალში ცვლილებების
კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	მირ საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	9,497,948	191,345	9,691,293
დივიდენდი		(1,782,535)		(1,782,535)
უმცირესობის წილი		11,679		11,679
პერიოდის შედეგი		3,006,355		3,006,355
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	10,733,447	191,345	10,926,792
დივიდენდი		(3,843,963)		(3,843,963)
უმცირესობის წილი		(971)		(971)
პერიოდის შედეგი		4,202,538		4,202,538
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	11,091,051	191,345	11,284,396

დირექტორი

რობერტ რევა

19 სექტემბერი 2025 წელი

მთავარი ბუღალტერი

ირმა რაქვიაშვილი



სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამართისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა

დირექტორი

რობერტ რევია

19 სექტემბერი 2025 წელი



- კომპანიის კლიენტების მომსახურების გასამარტივებლად ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება.
- იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.გეგუთში თანამედროვე ევროპული და ამერიკული სტანდარტების შესაბამისი სერვის ცენტრის გახსნა;
- ბიო პრეპარატების ფართო გაყიდვაში ჩაშვება;
- გაგრძელდეს ახალი პროდუქტების მოძიება;
- ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის გაგრძელება.

ქსელის გაზრდასთან ერთად იგეგმება სტრატეგიული მარკეტინგის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. კომპანიის მიზანია როგორც ახალი კლიენტების მოზიდვა, ასევე არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ ფერმერ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ბიზნესის ოპერირება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის ვცდილობთ მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვაავითაროთ ისინი.

დირექტორი:



რ. რევია

სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

